შიგნით კახეთის ძირითადი აგროსისტემების ტრანსფორმაცია და მასთან დაკავშირებული ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები

დავით ქემაშვილი

ელ-ფოსტა: daviti.kemashvili711@eab.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი.ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179,საქართველო

გეოგრაფიას, როგორც კონსტრუქციულ დარგს მეცნიერებისა, თანამედროვე პერიოდში პირველ რიგში, კაცობრიობის პრობლემური საკითხების გადაჭრა მოეთხოვება. ერთ-ერთი მათგანი კი სასურსათო და კერძოდ, მასთან დაკავშირებული აგროეკოლოგიური პრობლემაა, სწორედ ამ პრობლემებს შეეხება სარეცენზიოდ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი, საქართველოს ერთ-ერთი, მევენახეობის განვითარებით გამორჩეული რეგიონის - კახეთის მაგალითზე. სადიპლომო ნაშრომის ძირითად თავებში, საკითხის ღრმა ანალიზით იხილება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: ზოგადად აგროლანდშაფტების არსი და მისი ადგილი ანთროპოგენური ლანდშაფტების სისტემაში, კერძოდ კი, ვენახი, როგორც - აგროლანდშაფტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია და განსაზღვრულია მისი ადგილი ანთროპოგენური კომპლექსების ტაქსონომიაში; შიგნით კახეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული ქვერაიონის ბუნებრივი პირობები და მევენახეობის განვითარების რეგიონული თავისებურებები, ბუნებრივი ლანდშაფტების ტრანსფორმაცია და მევენახეობის განვითარების პერსპექტივები. აქვე, გამახვილებულია ყურადღება ლანდშაფტწარმომქმნელი ფაქტორების მდგრადობაზე, ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ აგროლანდშაფტების რეაქციასა და საკვლევი რეგიონის თანამედროვე ლანდშაფტების აგროეკოლოგიური შეფასებაზე.

შრომას თან ერთვის რამდენიმე ათეული საილუსტრაციო მასალა (ცხრილები, გრაფიკები, ბლოკ-დიაგრამები, ტიპიურ-ხედთა ფოტო-ილუსტრაციები) და გამოყენებული ლიტერატურული წყაროების ნუსხა, ქართულ და უცხოურ ენებზე. ნაშრომი სრულდება საკმაოდ კონსტრუქციული დასკვნებითა და პრაქტიკული რეკომენდაციებით, რომელთა გათვალისწინება სათანადო რეგიონული ორგანიზაციების მიერ მეტად მნიშვნელოვანი და ღირებული იქნება.